ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 108

ქალაქი ქუთაისი 31 აგვისტო 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალურ საკითხთა სამსახურის ანგარიში 2022 წლის შვიდ თვეში გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე–3 მუხლის მე–4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. შეფასდეს დამაკმაყოფილებლად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალურ საკითხთა სამსახურის ანგარიში 2022 წლის შვიდ თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალურ საკითხთა სამსახურის ანგარიში 2022 წლის შვიდ თვეში გაწეული მუშაობის შესახებ წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
გას. № 108
„1“ 05 2022

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2022 წლის 31 აგვისტოს
№ 108 განკარგულების დანართი

ა ნ გ ა რ ი შ ი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის – სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ
2022 წლის შვიდ თვეში გაწეული მუშაობის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახური 2022 წელს, მოსახლეობის დაავადებათა პრევენციის, შემდგომი მკურნალობის ხელშეწყობის, ასევე, სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით, ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების ფარგლებში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №5 დადგენილების საფუძველზე ახორციელებს 33 ქვეპროგრამას. აღნიშნული დადგენილებით ბიუჯეტი განისაზღვრა 5430000 ლარით. სოციალური დახმარებებით სარგებლობენ სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარები, ესენია: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები, იძულებით გადაადგილებული პირები, სოციალურად დაუცველი ოჯახები, მრავალშვილიანი და მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლები, დღის ცენტრებით მოსარგებლე ბენეფიციარები, მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახები და სხვა.

ანგარიში შეეხება 2022 წლის იანვრიდან 1 აგვისტომდე პერიოდს.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ შემუშავდა და დაინერგა 4 ახალი ქვეპროგრამა „ახალი კორონავირუსით („Covid–19“) ინფიცირებულ პირთა დახმარება“, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღე“, „ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება“ და „ბავშვის განვითარების ხელშეწყობა“.

ამავდროულად, მოქმედ ქვეპროგრამებში განხორციელდა, როგორც შინაარსობრივი, ასევე ფინანსური ცვლილებები მოქალაქეთა სასარგებლოდ, კერძოდ: „სამედიცინო დახმარების“, „მედიკამენტებით უზრუნველყოფის“, „ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფის“, „ფენილკეტონურიითა და ცელიაკიით დაავადებულ პირთა დახმარების“, „სარიტუალო დახმარების“, „შინმოვლის“, „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების“, „სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის განათლების ხარისხის ამაღლების,“ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მხარდაჭერის“, „ახალი კორონავირუსით („Covid–19“) ინფიცირებულ პირთა დახმარების“ ქვეპროგრამებში.

შედეგად ბიუჯეტმა განიცადა ცვლილება, რის შემდეგაც შეადგინა 5266000 ლარი.

მიმდინარე წლის პირველი 7 თვის განმავლობაში დაიხარჯა 2997363,79 ლარი. კერძოდ:

1. **„სამედიცინო დახმარება“**

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 980,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მძიმე, სიცოცხლისათვის საშიში დაავადების მქონე და განსაკუთრებული შემთხვევის შედეგად დაავადებული გადახდისუუნარო პირების სამედიცინო მომსახურებას, დიაგნოსტიკისა და შემდგომი მკურნალობის ხარჯის (თანადაფინანსების პრინციპით) ანაზღაურებას.

ლაბორატორიული დიაგნოსტიკის შემთხვევაში დახმარება გაიცემა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 100001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებზე, შეზღუდული შესაძლებლობის სატატუსის მქონე პირებზე, ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ მოქალაქეებსა და კარდიოლოგიურ პაციენტებზე. პროგრამით ფინანსდება აგრეთვე, 0–18 წლამდე ასაკის პაციენტების ქირურგიული ოფთალმოლოგია, რომელიც არ ანაზღაურდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, არაუმეტეს 1000 ლარისა.

დახმარებით ისარგებლა 2277-მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 809 576,80 ლარი.

2. „მედიკამენტებით უზრუნველყოფა“

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 310,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს მიეკუთვნებიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დაფიქსირებული 700001–მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირები; ნათესაურ და არანათესაურ მინდობაში მყოფი შშმ ბავშვები; ომისა და სამხედრო ძალების შშმ ვეტერანები, რომლებსაც ჰყავთ 3 და მეტი შვილი, ან მიეკუთვნებიან 65 წელს ზემოთ ასაკის პირებს, ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტები და მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირები.

დახმარებით ისარგებლა 1053-მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 156 898,90 ლარი.

3. „ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა”

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 50,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ეპილეფსიით დაავადებული პირები.

დახმარებით ისარგებლა 93-მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 25 250,17 ლარი.

4. „ლეიკოზითა და სოლიდური სიმსივნის ფორმით დაავადებულ პირთა თანადგომა“

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 55,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში 0–18 წლამდე ასაკის ლეიკოზით დაავადებულ პირებს გაეწიათ მატერიალური დახმარება, თითოეულს, თვეში 200 ლარის ოდენობით.

დახმარებით ისარგებლა 21-მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 25 200,0 ლარი.

5. „ფენილკეტონურიითა და ცელიაკიით დაავადებულ პირთა დახმარება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 48,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამით მოსარგებლე, ფენილკეტონურიითა და ცელიაკიით დაავადებულ არასრულწლოვან პირებს, მატერიალური დახმარება გაეწიათ მათი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ხოლო სრულწლოვან პირებს – პირადი განცხადებით მომართვის საფუძველზე. საბიუჯეტო წლის ბოლომდე დახმარების ოდენობა განისაზღვრება თვეში 200 ლარის ოდენობით.

დახმარებით ისარგებლა 19-მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 21 800,0 ლარი.

6. „სარიტუალო დახმარება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 14,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული გარდაცვლილი ვეტერანის დასაფლავების ხარჯის ანაზღაურება, ერთჯერადად 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამა ასევე გულისხმობს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული პირების სარიტუალო მომსახურებას, რომლებიც გარდაიცვალნენ „კოვიდ–19“ დიაგნოზით სამედიცინო დაწესებულებაში, ერთჯერადად 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

დახმარებით ისარგებლა 17-მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 5100 ლარი.

7. „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 990,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში, მიმდინარე პერიოდში ყოველთვიური მატერიალური დახმარებით ისარგებლა 641-მა მრავალშვილიანმა ოჯახმა. მათ შორის:

მეოთხე და მომდევნო ბავშვის შეძენისას დახმარებით ისარგებლა 27-მა ოჯახმა.

ერთჯერადი მატერიალური დახმარებით ისარგებლა 192-მა მრავალშვილიანმა ოჯახმა.

„მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების“ პროგრამის ფარგლებში მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მოხმარებული ელექტრო ენერგიის თანადაფინანსებით მიმდინარე პერიოდში ისარგებლა 120-მა ოჯახმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 568 500,0 ლარი.

8. „შინმოვლა“

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 70,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული 100 001–მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრები, რომელთათვისაც უძლურების შეფასების ბართელის კითხვარის მიხედვით მინიჭებული ქულა (შემდგომ – ბართელის ინდექსი) არ აღემატება 95 ერთეულს, არიან მწოლიარენი ან/და საჭიროებენ სამედიცინო მანიპულაციებს საცხოვრებელ ადგილზე.

დახმარებით ისარგებლა 120-მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 36 409,38 ლარი.

9 „სოციალური საცხოვრისის კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფა“

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 40,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ანაზღაურდა სოციალური საცხოვრისის მობინადრეთა მიერ მოხმარებული ელექტრო ენერგიისა და ბუნებრივი აირის ხარჯი.

დახმარებით ისარგებლა 89 ოჯახმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 25 328,33 ლარი.

10. „სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა“

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 160,0 ათასი ლარი.

აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი, 70 000–მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების მიერ მოხმარებული ელექტრო ენერგის ღირებულების თანადაფინანსებას, სულადობის მიხედვით და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისათვის საჭირო თანხების დაფინანსებას.

ბენეფიციართა იდენტიფიცირება ხორციელდება სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველთვიურად წარმოდგენილი მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

დახმარებით ისარგებლა 2634-მა ოჯახმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 80 182,0 ლარი.

11. „განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომა"

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 170,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ/მცხოვრებ/ 18 წლის ბენეფიციარს, რომელიც იმყოფებოდა სახელმწიფო მზრუნველობაში და სრულწლოვანების გამო შეუწყდა სახელმწიფოს მხრიდან მომსახურება. დახმარება ბენეფიციარზე შეადგენს, თვეში 200 ლარს.

ბიოლოგიურ ოჯახში, თითოეული რეინტეგრირებული ბავშვის დახმარება თვეში შეადგენს 200 ლარს.

დახმარებით ისარგებლა 18-მა ოჯახმა (20 ბავშვი).

ჰემოდიალიზზე მყოფი პირის მუდმივად სამკურნალო დაწესებულებაში ტრანსპორტირებისა და სხვა სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით დახმარება შეადგენს თვეში 100 ლარს.

დახმარებით ისარგებლა 115-მა ბენეფიციარმა.

აღნიშნული ქვეპროგრამით საერთო ჯამში ისარგებლა 135-მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 80 300,0 ლარი.

12. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება"

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 83,0 ათასი ლარი.

დახმარებით სარგებლობენ სახელმწიფო პროგრამებით „ბავშვთა ადრეული განვითარებისა" და „დღის ცენტრის" მომსახურებით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები. პროგრამის ფარგლებში, ხორციელდება თვეში 60 ლარის ღირებულების ჰიგიენური საფენებისა („პამპერსი") და სველი ხელსახოცების შეძენა.

დახმარებით ისარგებლა 174-მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 52 937,41 ლარი

13. „სოციალური ღონისძიებები"

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 565,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს გარკვეული კატეგორიის ღვაწლმოსილი, დამსახურებული და სოციალურად დაუცველი პირებისათვის, ტრადიციულ დღესასწაულებთან და ღირშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით, სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებების მოწყობას.

დახმარებით ისარგებლა 4223-მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 301 399,43 ლარი.

14. „კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება"

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 15,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე 0–18 წლამდე არასრულწლოვანი პირების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. დახმარება ითვალისწინებს კოხლეარული იმპლანტის აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ნაწილების შეძენას ბენეფიციარებისათვის.

ქვეპროგრამის ფარგლებში კოხლეარული იმპლანტის აპარატის შეუფერხებელი ფუნციონირებისათვის საჭირო ნაწილების შეძენის თვალსაზრისით, ბენეფიციარებს გაეწიათ დახმარება. ანაზღაურდა კვების წყაროსათვის საჭირო ელემენტის ღირებულება თვეში 95 ლარის ოდენობით და პროცესორისა და მიკროფონის შემაერთებელი სადენის ღირებულება ექვს თვეში ერთხელ, 150 ლარის ოდენობით.

დახმარებით ისარგებლა 12-მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 8 450,0 ლარი.

15. „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია“

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 1 130,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწიათ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ/ მცხოვრებ 2–15 წლამდე ასაკის ბავშვებს, რომელთა ძირითადი დიაგნოზია („ICD–10“) კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული განვითარების ზოგადი აშლილობები („F84.0“ – „F84.9“).

ქვეპროგრამის ფარგლებში, ანაზღაურდა სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების (სამი ორგანიზაცია) მიერ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვებისათვის გაწეული მომსახურება.

დახმარებით ისარგებლა 278-მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 598 773,0 ლარი.

16. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებისა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობა“

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 18,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისში მოქმედი 0–18 და 18 წლის ზემოთ ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობა. საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა მომსახურების მიმწოდებელი 8 ორგანიზაციისათვის, თანადაფინანსების პრინციპით კომუნალური ხარჯების (ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი) ანაზღაურება.

დახმარებით ისარგებლა 8 ორგანიზაციამ.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 6 806,05 ლარი.

17. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება /თანადაფინანსება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 25,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ როგორც ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ პირებს, ასევე, ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე მოქმედ შშმ პირების საჭიროებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს.

მიმდინარე პროექტში ჩართულია 16 ბენეფიციარი – შშმ პირი (სწავლება, დასაქმების მიზნით).

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 4 175,0 ლარი.

18. „მარტოხელა მშობელთა დახმარება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 10,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისში მცხოვრები (რეგისტრირებული) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა ოჯახების მიერ მოხმარებული კომუნალური გადასახადების – ელექტრო ენერგიის, წყლის, ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინასება 30 ლარის ოდენობით (ელექტრო ენერგია – 12 ლარი; ბუნებრივი აირი – 15 ლარი; წყალი – 3 ლარი).

დახმარებით ისარგებლა 41-მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 6 477,0 ლარი.

19. „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 4,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ სტრუქტურული ერთეულების, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარში) მყოფი პირის/ოჯახის თავშესაფრის დატოვების შემდეგ ფინანსური დახმარება.

დახმარებით ისარგებლა 1-მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 1000 ლარი.

20. „საქართველოს „SOS ბავშვთა სოფლის“ მიერ განხორციელებული პროექტის – დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 30,0 ათასი ლარი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ასოციაცია საქართველოს „SOS ბავშვთა სოფელს“ შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე ხორციელდება საქართველოს „SOS ბავშვთა სოფლის“ მიერ განხორციელებული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება:

„დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარება“, რომლის ფარგლებში ფინანსდება/თანადაფინანსდება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული 12–დან 36 თვემდე ბავშვების დღის ცენტრში მომსახურება კვებითა და ჰიგიენური საშუალებებით;

„ახალგაზრდული სახლი“, რომლის ფარგლებში დაფინანსდება/თანადაფინანსდება სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ან/და ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ რეფერირებული ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული 18–დან 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდების მომსახურება (კვება, ჰიგიენური საშუალებები და სხვა საჭიროებები).

დახმარებით ისარგებლა 19-მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 12 701,32 ლარი.

21. „შშმ პირთა საერთაშორისო დღე“

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 10,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შშმ პირთა მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსება.

დაიხარჯა 0 ლარი.

22. „გადაუდებელი რეაგირება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 150,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების სერვისი მიეწოდებათ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და ფაქტობრივად მცხოვრებ კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს, რომელთა წევრები საჭიროებენ გადაუდებელ პირველად დახმარებას.

დახმარებით ისარგებლა 168 ოჯახმა, მათ შორის მატერიალური დახმარება გაეწია 84 ოჯახს.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 84 409,0 ლარი.

23. „მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა“

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 10,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ტიფლოტექნიკური აპარატების (ხმოვანი წნევის აპარატი; შაქრის საზომი აპარატი) შეძენა და სამედიცინო და სახელმწიფო/საჯარო დაწესებულებებში დამოუკიდებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით, პერსონალური ასისტენტის (გამცილებელი) და ოპერატორის მომსახურება.

დახმარებით ისარგებლა 55-მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 1 650,0 ლარი.

24. „ადრეული ძუძუს აგრესიული „HER–2" რეცეპტორ დადებითი დიაგნოზის მქონე პირების დახმარება"

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 90,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამით სარგებლობენ ადრეული ძუძუს აგრესიული „HER–2" რეცეპტორ დადებითი და მეტასტაზური კიბოს დიაგნოზის მქონე პირები, დახმარების მიღება განხორციელდება არაერთჯერადი მომართვის საფუძველზე საგარანტიო წერილის გამოყენებით, რომლის მოცულობა განისაზღვრება სახელმწიფო რეფერალური კომისიის მიერ გაცემული საგარანტიო წერილის მიხედვით.

დახმარებით ისარგებლა 18-მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 54 800,0 ლარი.

25. „ონლაინ სწავლების პერიოდში სოციალურად დაუცველი ოჯახების განათლების ხელმისაწვდომობა"

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 2,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის მიზანია პანდემიისა და ზოგადი შეზღუდვების პირობებში შეუფერხებლად მოხდეს სოციალურად დაუცველი არასრულწლოვანებისათვის განათლების უწყვეტობისა და ხელმისაწვდომობის მიწოდება. ქვეპროგრამით სარგებლობენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთაგან ოჯახის მინიმუმ ერთი წევრი მაინც არის 6–დან 18 წლამდე, ირიცხება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65000–ს. ქვეპროგრამის ფარგლებში ოჯახს დაუფინანსდა ინტერნეტის ყოველთვიური მომსახურება იანვრიდან ივნისის ჩათვლით, თვეში არაუმეტეს 20 ლარისა.

დახმარებით ისარგებლა 6-მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 500,0 ლარი.

26. „ფილტვის კიბოს სკრინინგი"

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 1,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების მქონე, თამბაქოს მომხმარებელი პროფესიული რისკის შემცველ საწარმოებში დასაქმებული და სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების მაღალტექნოლოგიური სამედიცინო კვლევით უზრუნველყოფას.

სულ დაიხარჯა 0 ლარი.

27. „სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის განათლების ხარისხის ამაღლება"

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 40,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სოციალურად დაუცველი აბიტურიენტების დამატებითი სწავლება 2022 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის.

ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე სკოლადამამთავრებელი მოსწავლეები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120000-ს.

აბიტურიენტებისთვის მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და ავტორიზირებული სასწავლო დაწესებულებები (დაფინანსება შეიცვალა ვაუჩერული წესით, რომლის მიხედვითაც ანაზღაურდება არაუმეტეს 4 საგნის სწავლება, 1 საგანი 60 ლარი).

დახმარებით ისარგებლა 27-მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 28 240,0 ლარი.

28. „ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა შინ მოვლა"

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 10,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი წამების მსხვერპლთა ფსიქო–სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი – ქუთაისს" შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები 50 პირისათვის ფსიქიატრიული სერვისების 10%–იან თანადაფინანსებას.

სულ დაიხარჯა 0 ლარი.

29. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მხარდაჭერა"

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 25,0 ლარი

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში არანაკლებ ბოლო ერთი წლის მანძილზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი პირების მიერ ახალშექმნილი ოჯახებისა და ახალშეძენილი შვილიანი ოჯახების ფინანსურ მხარდაჭერას. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები ახალშეძენილი შვილიანი ოჯახი, რომელიც ირიცხება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120000–ს. 2022 წელს შეძენილ თითოეულ შვილზე ოჯახს გაეწევა მატერიალური დახმარება 500 ლარით.

დახმარებით ისარგებლა 1-მა ბენეფიციარმა.

დაიხარჯა 500 ლარი.

30. „მრავალშვილიანი ოჯახების მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა"

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 60 000 ლარი

ქვეპროგრამა გულისხმობს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების გაძლიერებას, რომლებსაც აქვთ სურვილი, ან უკვე ეწევიან მიკრო, ან მცირე მეწარმეობას. პროექტების დაფინანსება მოხდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის საფუძველზე. თანხა ბენეფიციარებზე გადანაწილდება პროექტის ღირებულებისა და თანაფარდობის პრინციპით.

დაიხარჯა 0 ლარი.

31. „ახალი კორონავირუსით („Covid-19") ინფიცირებული პირთა დახმარება"

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 1,0 ათასი ლარი.

ახალი კორონავირუსით („Covid-19") ინფიცირებული პირების სამედიცინო დახმარების პროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000 სარეიტინგო ქულის მქონე, კორონავირუსგადატანილი ბენეფიციარები. პროგრამა ითვალისწინებს ახალი კორონავირუსის გადატანის შემდგომ მე–14 დღიდან ლაბორატორიული კვლევების (კოაგულოგრამა, D – დიმერი, C – რეაქტიული ცილა) დაფინანსებას 80 ლარის ფარგლებში. დახმარება გაიცემა ერთჯერადად, სამედიცინო მომსახურების მიღებამდე.

დაიხარჯა 0 ლარი.

32. „ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 70 000,0 ათასი ლარი.

ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური მხარდაჭერის ქვეპროგრამის მიზანია ბავშვის უფლებათა კოდექსის მოთხოვნათა და ბავშვთა უფლებების მიმართულებით არსებული გამოწვევების საპასუხოდ, პროგრამის მონაწილე ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური უსაფრთხოების ხელშეწყობა, რათა ამ გზით შემცირდეს ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის უარყოფითი გავლენა ბავშვის განვითარების სხვადასხვა ასპექტებზე.

ქვეპროგრამით მოსარგებლეები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები ბავშვიანი ოჯახები, თუ ქვემოთ ჩამოთვლილი სამიზნე ჯგუფიდან, სულ მცირე, ორს მაინც აკმაყოფილებს:

სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დაფიქსირებული 120 001–მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირები;

გაღარიბების მაღალი რისკის წინაშე კრიზისულ მდგომაროებაში მყოფი ბავშვიანი ოჯახები (სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე);

ერთ–ერთი მშობელი, რომელიც დამოუკიდებლად ასრულებს მშობლის ფუნქციებს;

ოჯახები, რომლებსაც ჰყავთ სუსტი თანადგომის ქსელი (სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე);

ბავშვიანი ოჯახები, სადაც ერთი მშობელი კანონთან კონფლიქტშია.

ქვეპროგრამაში მონაწილეობას ვერ მიიღებს მრავალშვიანი ოჯახების მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშემწყობი პროექტების მოსარგებლე.

ქვეპროგრამის განხორციელება მიმართულია ბავშვიანი ოჯახებისათვის გრძელვადიან მხარდაჭერაზე, რომელიც მოიცავს სამ კომპონენტს. კერძოდ, ქვეპროგრამის მონაწილე ოჯახებთან ბიო–ფსიქო–სოციალური მიდგომებით მოხდება სოციალური მუშაკების ჩართულობა, ოჯახის ეკონომიკური და პოზიტიური მშობლობის კუთხით გაძლიერება.

დაიხარჯა 0 ლარი.

33. „ბავშვის განვითარების ხელშეწყობა“

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 30 000,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს მიეკუთვნებიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები ბავშვები.

სამიზნე ჯგუფის პირთა იდენტიფიცირება განხორციელდება ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების სოციალური მუშაკების მიერ.

ქვეპროგრამის ფარგლებში ოჯახის მხარდაჭერა განხორციელდება ბავშვის ასაკის თავისებურებების გათვალისწინებით – ადრეული ასაკის ბავშვებისათვის (0–დან 6 წელი) და შუა ასაკის ბავშვებისათვის (7–დან 14 წელი) – ბავშვის განვითარების ხელშემწყობი საშუალებებით. ოჯახზე გაიცემა 150 ლარის ღირებულებების ერთი ვაუჩერი.

დაიხარჯა 0 ლარი.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებამ.

2022 წლის იანვრიდან 1 აგვისტომდე განყოფილების მიერ შეფასებულია ბავშვიანი 100 ოჯახის – 294 ბავშვი. ვერ შეფასდა 1 ოჯახი (ბენეფიციარი აღნიშნულ მისამართზე არ ცხოვრობს).

„ბადაუდებელი რეაგირების პროგრამის“ ფარგლებში შეფასდა ბავშვიანი 23 ოჯახი. სკრინინგი ჩაუტარდა 61 ბავშვს; მეორე დონით შეფასდა 3 ოჯახის 9 ბავშვი.

სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან“ შემოსული შეტყობინებით შეფასდა ბავშვიანი 15 ოჯახი, სკრინინგი ჩაუტარდა 26 ბავშვს; მეორე დონით შეფასდა ბავშვიანი 4 ოჯახის 13 ბავშვი.

სხვა მუნიციპალიტეტიდან (ტყიბული) შემოსული წერილის საფუძველზე შეფასდა ბავშვიანი 3 ოჯახი. სკრინინგი ჩაუტარდა 10 ბავშვს.

თვითმმართვით შეფასდა 9 ოჯახის 16 ბავშვი.

ცხელი ხაზის (111) შეტყობინებით შეფასდა 1 ოჯახის 1 ბავშვი.

შეფასდა მრავალშვილიანი 50 ოჯახის 180 ბავშვი; მეორე დონეზე 1 ოჯახის 1 ბავშვი.

საანგარიშო პერიოდში სერიოზული ყურადღება მიექცა მოქალაქეთა განცხადებებსა და სხვადასხვა უწყებებიდან შემოსულ წერილებზე რეაგირებას. მ/წლის შვიდ თვეში სამსახურში შემოსულია 8920 წერილობითი კორესტოდენცია. მათი ძირითადი ნაწილი შესრულებულია კანონით დადგენილ ვადებში, ნაწილზე მიმდინარეობს მუშაობა.

შენიშვნა: წინამდებარე ანგარიში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-10 სხდომაზე, მ/წლის 31 აგვისტოს, წარდგენილ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, ფიქრია ხაჭაპურიძის მიერ.

საკრებულოს თავმჯდომარე ————ირაკლი შენგელია